ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები

- არეგულირეთ კენჭისყრის შენობაში შემომსვლელ ამომრჩეველთა ნაკადი.

ყურადღება!
ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, უზრუნველყავით ამომრჩეველთა შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში).

- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსნას პირბადე.

ყურადღება!

✓ თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, აუხსენით მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

✓ თუ ამომრჩეველი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნის პირბადეს, იგი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში.

- ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმეთ, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება, და მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აქვს, მიეცით მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

ყურადღება!

- ✓ თუ ულტრაიისფერი ფარნით მარკირების შემოწმებისას გამოვლინდება, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩევლის ვინაობა აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს.
- ✓ ამომრჩეველი, რომელიც, „ფიზიკური მდგომარეობის“, კერძოდ ზედა კიდურების არქონის გამო, ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.
- ■ თვალყური ადევნეთ, რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩევლის შესვლა.
- ■ მიუთითეთ ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში.

გაითვალისწინეთ!

- ✓ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, ამომრჩეველი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირი კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება პირბადის და სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების გარეშე.
- ✓ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი თერმოსკრინინგის (ტემპერატურის შემოწმების) გარეშე. ცხელების – 37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას (5-წუთიან შუალედში). განმეორებით ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში პირი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში. ცხელების დაფიქსირების შემთხვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ✓ ამომრჩეველთა თერმოსკრინინგი არ ხორციელდება.
- ✓ კენჭისყრის შენობის გასასვლელში ამომრჩევლისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადეზინფექციო სითხით ხელების დამუშავების შესაძლებლობა.